

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 2

ქ.თბილისი

12.01.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ალექსი ალექსიშვილი - შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფ - PMCG-ის გენერალური დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლამა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;  
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი:

ლიკა ლომაია - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

აკაკი ცომაია - პროგრამის ხელმძღვანელი;

გიორგი მიქანაძე - ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი.

2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ:

გიორგი ცხვედიანი - ვიცე-რექტორი;

ნონა ზუმბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ანი ქვათაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, ასისტენტ პროფესორი;

პაატა შურღია - პროფესორი.

3. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:

კახი ყურაშვილი - პრორექტორი;

მაკა კაჭარავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ელენე ნიკოზაძე - ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- დავით სიხარულიძე;
- ოთარ ანთია;
- გიორგი დაღანიძე;
- ანა გვრიტიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:45 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 15 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის საკითხის განხილვა.


საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგიდან ამოღებულიყო პირველი და მეექვსე საკითხები. პირველი საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ცენტრში 2018 წლის 10 იანვარს წარმოადგინა №37 წერილი, რომლითაც მოითხოვა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა. ამასთან, მეექვსე საკითხად განსაზღვრული შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის საკითხის განხილვის გადადება გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ ექსპერტთა ჯგუფს საბოლოო დასკვნა ცენტრში არ ჰქონდა წარმოდგენილი. აღნიშნული საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაციის ვადა ამოეწურა 2018 წლის 3 იანვარს და დაწესებულებისა და პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, უნივერსიტეტს ეთხოვა, თუ ეს შესაძლებელი იყო, რომ ცენტრში წარმოედგინა არგუმენტირებული პოზიცია იმ ვადაზე ადრე, რასაც ითვალისწინებდა აკრედიტაციის დებულება. იმ შემთხვევაში, თუკი, დაწესებულება უფრო ადრე, ვიდრე ამას ითვალისწინებს აკრედიტაციის დებულება, მოახერხებდა დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენას, ექსპერტთა ჯგუფი შეძლებდა 12 იანვარს ჩანიშნული სხდომის გამართვამდე საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებას, რაც გაეზავნებოდა, როგორც უნივერსიტეტს, ისე საბჭოს წევრებს. იმ შემთხვევაში კი, თუ ცენტრს 12 თებერვლისთვის არ ექნებოდა ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა, საკითხის განხილვა გადაიდებოდა შემდგომი სხდომისთვის. შესაბამისად, ვინაიდან, 12 იანვრისთვის ცენტრს არ ჰქონდა მიღებული ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა, საკითხის განხილვა უნდა მომხდარიყო შემდგომი სხდომისთვის. წარმოდგენილი ორივე შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის ახალი წესრიგი:

- 1) შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 2) შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 3) შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 4) შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.



1. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითმეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითმეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული იყო საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ამავედროულად ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გახლდათ. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსს მათი გელაშვილს მოეხდინა საერთაშორისო ექსპერტთან საუბრის ტექნიკური უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ექსპერტის აზრით, აღნიშნულ პროგრამას ჰქონდა განვითარების პერსპექტივა, თუმცა აუცილებელი იყო ის დაწესებულები და რიგი ხარვეზები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის შედეგად დაფიქსირდა, გამოსწორებული ყოფილიყო. მისი განცხადებით, პროგრამის მიზნები და შედეგები თანხვედრაში იყო. ასევე, მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სხვა, მომიჯნავე, პროგრამების სტუდენტებს და დაადგინა, რომ სწავლების მეთოდები კარგად იყო ორგანიზებული და საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურაც გამართული იყო.

ამის შემდეგ, მან დაიწყო იმ პრობლემების ჩამოთვლა, რომელიც მისი აზრით აუცილებლად გამოსასწორებელი იყო.

1) დაწესებულებას უნდა ჰქონოდა უფრო მეტი კავშირები საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, ინსტიტუტებთან და აქტიურად უნდა ეთანამშრომლა მათთან;

2) პროგრამის სწავლის შედეგები უფრო ნათლად და მკაფიოდ უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული. მისი აზრით, სწავლის შედეგებში არსებობდა ძალიან ბევრი დეტალი და გარკვეული სახის უზუსტობა, რომელიც ასევე გამოსწორებას მოითხოვდა;

3) საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ შეფასების დროს ცხადი გახდა, რომ აშკარა იყო ის ფაქტი, რომ პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემდგომ სტუდენტებს განუვითარდებოდათ სხვადასხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ასევე, ის შეეხო სასწავლო მოდულებს და აღნიშნა, რომ პროგრამაში ფინანსური მოდული კარგად იყო გაწერილი, მაგრამ მარკეტინგის მენეჯმენტის მოდულს გაძლიერება სჭირდებოდა;

4) ექსპერტის შეფასებით, დასახვეწი იყო სწავლების წინაპირობების ნაწილი და სტუდენტებს უნდა სცოდნოდათ სასწავლო კურსების მოთხოვნების შესახებ;

5) მისი განცხადებით, ვიზიტის დროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესახებ მსჯელობის შესაძლებლობა არ ყოფილა, მაგრამ მან ურჩია დაწესებულებას მაქსიმალურად კონცენტრირებული ყოფილიყო საერთაშორისო ბაზარზე: მოეწვიათ უცხოელი პროფესორები, გაეცვალათ პერსონალი, მოეზიდათ საერთაშორისო სტუდენტები და ა.შ;

6) ექსპერტის აზრით, აუცილებელი იყო დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობების გაზრდა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის აკადემიურ პერსონალსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა და კარგი იქნებოდა, თუ შემუშავდებოდა რაიმე მექანიზმი ურთიერთობების პრაქტიკული თვალსაზრისით განვითარებისთვის;

7) შემდეგი საკითხიც შეეხო დაწესებულებასა და დაინტერესებულ პირებს შორის ურთიერთობებს, კერძოდ, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარებისთვის კარგი იქნებოდა, თუ დაწესებულება მაქსიმალურად იქნებოდა ორიენტირებული ბიზნესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე, რაც გაზრდიდა პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების პოტენციალს.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ ჰკითხა საერთაშორისო ექსპერტს რას ნიშნავდა ტერმინი „ნაწილობრივ შესაბამისობა“ პროგრამასთან მიმართებაში. რაზეც საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამას სრულ შესაბამისობის შეფასება ვერ მიეცემოდა, რადგან იყო რიგი პრობლემები, რომელიც უნდა გამოსწორებულიყო, ასევე პროგრამის სიახლიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო იმის შემოწმება, რამდენად გაამართლებდა ესა თუ ის მიზანი ან შედეგი რამდენად იქნებოდა მიღწეული. სწორედ ეს წარმოადგენდა მისთვის ნაწილობრივ შესაბამისობას.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომაზე წარმოდგენილ ადგილობრივ ექსპერტებს შეფასებისას გამოვლენილი ძირითადი საკითხები განეხილათ.

ადგილობრივი ექსპერტები დაეთანხმნენ საერთაშორისო კოლეგის მიერ ჩამოყალიბებულ შეფასებებსა და საკითხებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების რჩევების ნაწილი გათვალისწინებული იქნა, თუმცა არსებობდა საკითხები, რომლებშიც დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფს არ ეთანხმებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით პროგრამის შემუშავების პროცესში მათ მოახდინეს დასაქმების ბაზრის შესწავლა, ასევე მათ შეადარეს სხვადასხვა უნივერსიტეტის პროგრამები და დაასკვნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების მომზადება ინტენსიურად ხდებოდა, არსებობდა რიგი კურსები, რომლებშიც სტუდენტებს დაბალი კვალიფიკაცია ჰქონდათ. მაგალითად: ინგლისურში, მათემატიკაში, ფინანსებში. მისი თქმით ეს დამსაქმებელმაც დაადასტურა და აღნიშნული კვლევა ექსპერტებმაც ნახეს ვიზიტის დროს. სწორედ ამიტომ პროგრამის შემუშავებისას მისმა ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს აქცენტი სწორედ პრობლემურ მიმართულებებზე გაეკეთებინათ.

მისი განცხადებით, პროგრამა პოტენციურ კურსდამთავრებულებს სთავაზობდა ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს და არა კონცენტრაციებს და სპეციალიზაციებს, როგორც ეს ექსპერტთა დასკვნაში იყო ნახსენები. მისი თქმით, პროგრამას

ჰქონდა ფინანსების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის მოდულები, რომლებიც არის ნომინალური და არა სპეციალიზაციის, რის საფუძველზეც ენიჭებოდა სტუდენტს ხარისხი. ნომინალური მოდულების არსებობა არ ნიშნავდა იმას, რომ უნივერსიტეტი სტუდენტს ანიჭებდა ბაკალავრის ხარისხს ფინანსებში, ან ბაკალავრის ხარისხს მარკეტინგში. მისივე თქმით პროგრამა საშუალებას აძლევდა სტუდენტებს თავისუფალ კრედიტებში, რომელიც შეადგენდა 120 კრედიტს, აერჩიათ მათემატიკასა და ფინანსებთან დაკავშირებული კურსები, რათა უფრო მეტად გაედრმავებინათ ცოდნა ამ საკითხში. პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, ყოველივე ამის გრძელვადიანი შედეგი იქნებოდა კურსდამთავრებულების მაქსიმალური დასაქმება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

დაწესებულების წარმომადგენლის შემდეგი კომენტარი ეხებოდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხს. მისი განცხადებით, ექსპერტთა დასკვნაშიც იკითხებოდა, რომ დაწესებულებას ჰქონდა რიგი ხელშეკრულებები ფრანგულ, გერმანულ და უკრაინულ უნივერსიტეტებთან, ასევე აშშ-ს უნივერსიტეტებთან, რაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დაწესებულებას ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის გაცვლას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა შედარებული და თავსებადი იყო პარტნიორი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და გამომდინარე აქედან, პროგრამაში განვითარდა სწორედ ის კომპონენტები, რომლებიც მათივე აზრით ხელს შეუწყობდა სტუდენტების დასაქმებას. მისივე თქმით, ასევე გასაგები იყო ის ფაქტორიც, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესის შეფასება ამ ეტაპზე ვერ იქნებოდა სრულყოფილი, რადგან პროგრამა იყო ახალი და მისი სამომავლო საერთაშორისო მიზნების შეფასება რთულ საკითხს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, მისი თქმით, პროგრამა უნდა დაწესებულებას, რათა ინტერნაციონალიზაციის პროცესს მისცემოდა ამუშავების შესაძლებლობა.

მესამე კომენტარი შეეხო პრაქტიკისა და სტაჟირების კომპონენტს, სადაც პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა რიგი აქტივობები, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს უვითარდებოდათ პრაქტიკული უნარები. მათ ჰქონდათ ხელშეკრულებები და მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან და წარმატებული სტუდენტები სტაჟირებას გაივლიდნენ პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც ჩაითვლებოდა ე.წ კურიკულუმის გარეთ არსებულ აქტივობად. მან ასევე განაცხადა, რომ რეკომენდაციებიდან გამომდინარე, დაწესებულება მზად იყო ეს უკანასკნელი გაეხადა სავალდებულო კომპონენტად, რისი რესურსიც უნივერსიტეტს გააჩნდა.

დაწესებულების წარმომადგენლის მეოთხე კომენტარი შეეხო ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ყველა სამუშაო ამ მიმართულებით დაწესებული იყო, თუმცა, გამომდინარე იქიდან რომ პროგრამა ახალი იყო, მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მონიტორინგი, რამდენმა ადამიანმა ვერ გაიარა კონკრეტული კურსი და რამდენს შეექმნა პრობლემები კონკრეტულ კურსებში, ამაზე მონაცემები მათ არ ჰქონდათ.

იგი ასევე შეეხო რეკომენდაციას, რომელიც სწავლის შედეგების დეტალურ გაწერას უკავშირდებოდა და განაცხადა, რომ ეს უკანასკნელი სპეციალურად იყო გაკეთებული ამ სისტემით, რადგან სწავლის შედეგები იყო საკითხი, რომელზეც კურსდამთავრებულს უნდა ჰქონოდა დეტალური წარმოდგენა პროგრამის დასრულების შემდეგ. მისი განცხადებით სწავლის შედეგი უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად დეტალიზებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე მყოფთ გააცნო „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელსაც დაწესებულება ავტორიზებულ რეჟიმში უწყვეტად ახორციელებს არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში) პირველი აკრედიტაციის ვადა არის 4 წელი. აკრედიტებულ

რეჟიმში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი მომდევნო აკრედიტაციის ვადა, აგრეთვე იმ საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის ვადა, რომელსაც დაწესებულება ავტორიზებულ რეჟიმში უწყვეტად ახორციელებს არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში, არის 7 წელი. საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წლისა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლამა მარგიშვილმა დაამატა, რომ აღნიშნული ცვლილებები ინიცირებული იყო ცენტრის მიერ, რომელიც საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2018 წლის 11 იანვარს.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ჰქონდათ თუ არა საბჭოს წევრებს კითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან ან აკრედიტაციის ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის თქმით ქვეყანაში მოთხოვნა ფინანსისტის და მათემატიკის დარგის განხრით. მან ჰკითხა პროგრამის ხელმძღვანელს, რატომ არ დაარქვეს პროგრამას ფინანსებთან დაკავშირებული სახელი და რატომ არ ანიჭებდნენ სტუდენტებს შესაბამის ხარისხს მაგალითად „ბაკალავრს ფინანსებში“

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მოტივაციას არ წარმოადგენდა კურსდამთავრებულის საფინანსო სექტორში დასაქმება, მისი განცხადებით პროგრამა ფინანსური მოდულებისკენ იმიტომ გადაიხარა, რომ მათ უნდოდათ კურსდამთავრებულები არა მხოლოდ დასაქმებულიყვნენ სხვადასხვა კომპანიებში, არამედ მათ თავად შეექმნათ კომპანიები. გარდა ამისა, მისი თქმით, პროგრამის სახელი გამომდინარეობდა იქიდან, რომ ქვეყანაში სხვადასხვა დარგებზე, მაგალითად ტურიზმის სფეროში, დიდი მოთხოვნა იყო და სახელი „ბიზნეს ადმინისტრირება“ ზუსტად შეესაბამება იმ შინაარსს, რაც პროგრამაში ისწავლება.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, რატომ იყო საგნებს შორის წინაპირობების ბალანსი. მისი თქმით, ზოგიერთ კურსს გააჩნდა ეს უკანასკნელი და ზოგს არა. ასევე, მას აინტერესებდა რატომ იყო „სტატისტიკა“ „წრფივი ალგებრის“ წინაპირობა, რადგან რიგ უნივერსიტეტებში აღნიშნული პირიქით ხდებოდა და „წრფივი ალგებრა“ იყო სტატისტიკის წინაპირობა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, არაფერი ზიანდებოდა იმით, რომ კურსი „სტატისტიკა“ იყო „წრფივი ალგებრის“ წინაპირობა.

საბჭოს წევრმა ირინა გოცირიძემ იკითხა, რამდენად ჰქონდათ ექსპერტებს სილაბუსების დეტალური განხილვის შესაძლებლობა, რადგან მან გადახედა სილაბუსებს და საგნის „Project Management“-ში არ არსებობდა პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც იქნებოდა მორგებული სათანადო პროცესებზე. ეს არ იყო სილაბუსში გაწერილი. ასევე კურსზე - შესავალი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, სადაც ლიტერატურა იყო ქართულ ენაზე და ქართულ ენაზე მითითებულ ლიტერატურაში მითითებული იყო წყარო „fonts.ge“, რომელიც, მისი თქმით იყო ქართული შრიფტების გადმოსაწერი საიტი. მისთვის ეს საკმაოდ გაუგებარ საკითხს წარმოადგენდა. ასევე, მისი თქმით, კურსის „კალკულუსი“-ის შეფასებაში ნახსენები იყო სტუდენტის პრეზენტაციის უნარის შეფასება. იგი დაინტერესდა, რა სახის ცოდნა მოწმდებოდა პროგრამის ალგებრით ნაწილში პრეზენტაციის გაკეთებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, სილაბუსებში ქართული ლიტერატურა არ იყო მითითებული, განსაკუთრებით საბჭოს წევრ ირინა გოცირიძის მიერ ნახსენები ვებგვერდი. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ დასკვნაში ასახული იყო რჩევა, რომლის მიხედვითაც აუცილებელი ფაქტორი იყო კურსებში არსებული ლიტერატურის განახლება. საბჭოს წევრმა ირინა გოცირიძემ განაცხადა, რომ ის საუბრობდა იმ დოკუმენტაციის შესახებ, რაც მას ჰქონდა მიწოდებული ცენტრის მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში ქართულენოვანი ლიტერატურა არ ყოფილა ჩადებული.

გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ საბჭო ხელმძღვანელობდა მხოლოდ იმ დოკუმენტაციით, რაც უნივერსიტეტმა ექსპერტთა ვიზიტამდე გამოაგზავნა ცენტრში და

შემდგომი ჩასწორებების და მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ საბჭოსთვის ცნობილი არ ყოფილა.

საბჭოს წევრმა ლევან გორდუზიანმა იკითხა, როგორი იყო თანაფარდობა სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პედაგოგებს შორის. დაწესებულების უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თანაფარდობა იყო დაახლოებით 60:40-ზე, სადაც 60 მოწვეული იყო და 40 აკადემიური პერსონალი.

ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა ირინა გოცირიძის შეკითხვას კურსის „შესავალი პროექტების მართვაში“ პრაქტიკული ნაწილის არარსებობის შესახებ და განაცხადა, რომ აღნიშნულ კურსში არსებობდა სახელმძღვანელო, რომელშიც იყო დიდი რაოდენობით პრაქტიკული ნაწილი ქეისებისა და სამუშაოების დახმარებით და სტუდენტები სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობდნენ კურსისა და სემინარების მსვლელობის დროს.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ სხდომის დასაწყისში ბევრი ითქვა პროგრამის მიზნების შესახებ. იგი დაინტერესდა, კონკრეტულად რომელი საგნებით გადიოდა პროგრამა დასახულ მიზანზე. ასევე, მან იკითხა, რომელი საგნის სილაბუსი ავითარებდა სტუდენტებში იმ უნარებს, რომელსაც პროგრამის მიზანზე გაკავდა კურსდამთავრებული და რომელი კურსი ასწავლიდა სტუდენტებს კონკრეტულად ბიზნესის მართვას. პროგრამის ხელმძღვანელმა ჩამოთვალა საგნები: ბიზნესის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტი და ა.შ დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა საბჭოს წევრს გაეხსნა იმ კურსის სილაბუსი, რომელიც, მისი აზრით, ვერ ავითარებდა კურსდამთავრებულის უნარებს პროგრამის მიზნებთან მიმართებაში და ერთად განეხილათ მათ ეს ყოველივე.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა ყურადღება გაამახვილა „ოპერაციული მენეჯმენტის“ სილაბუსზე და იკითხა, რას ავითარებდა აღნიშნული კურსის შინაარსი სტუდენტში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს კურსი ავითარებდა ოპერაციითა მართვის პროცესებს.

ამის შემდეგ პაატა ბრეკაშვილს გაუჩნდა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტებიც საუბრობდნენ, კერძოდ რატომ ერქვა თითქმის ყველა საგანს შესავალი ე.წ. „INTRODUCTION“ და ასევე პროგრამის მიზანი იყო გაეყვანა სტუდენტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ხარისხზე. მისი შენიშვნით კურსს, „PUBLIC ADMINISTRATION“-ს და მის სილაბუსს ვერ გაკავდა პროგრამა სასურველ შედეგამდე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს კურსი იყო მენეჯმენტის მოდულის ნაწილი და პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენდა ის, რომ სტუდენტებს განვითარებოდათ ადმინისტრირების უნარ-ჩვევები, შესაბამისად ამ კურსის პროგრამაში არსებობა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

საბჭოს წევრის პაატა ბრეკაშვილის თქმით, მოდულში არსებული კურსები ცალკეულ ლოგიკას უნდა ემსახურებოდეს, ეს კურსი კი, რამდენიმე სხვა საგანთან ერთად მენეჯმენტის მოდულში შესაყვანი კურსების ლოგიკასთან აცდენილი იყო. აღნიშნული შენიშვნა შეეხო კურსს „გეო-ეკონომიკა“- გეოგრაფიულ ეკონომიკას, ასევე კურსს „Event Management“-ს, მისი თქმით აღნიშნულ კურსის სწავლებას მთელი სემესტრი არ სჭირდებოდა და რამდენიმე აკადემიური საათიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ სტუდენტს „event Management“-ზე წარმოედგინა შექმნოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული კურსები ისწავლებოდა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში და იგი აპრობირებული საგანი გახლდათ, მათ მოცემული კურსი გამოცდილების გაზიარების პრინციპით დაამატეს პროგრამას.

პაატა ბრეკაშვილის შენიშვნით, მენეჯმენტის მოდულში ისწავლებოდა ისეთი საგნები, როგორებიცაა საერთაშორისო პოლიტიკა, გეოპოლიტიკა და რომლებიც არც მენეჯმენტთან და არც ბიზნეს ადმინისტრირებასთან კავშირში არ იყო. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კონკრეტული კურსების მოდულში არსებობა განაპირობებდა სტუდენტისთვის ზოგადი კომპეტენციისა და თვალსაწიერის გაზრდის იდეას და აღნიშნული საგნები სტუდენტებს ზოგად ცოდნას უვითარებდა.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კურსების პროგრამაში არსებობის იდეა გასაგები იყო, თუმცა გაუგებარი იყო, რატომ ჰქონდა ასეთ საგნებს იგივე აკადემიური წონა, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან კურსებს, როგორც იყო, მაგალითად სტრატეგიული მენეჯმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ შენიშნა, რომ გარკვეულ სილაბუსებში, მაგალითად კურსის „ბიზნესის სამართალი“ სილაბუსში მწირი იყო იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა შეიცავდეს კონკრეტული კურსი. მისი თქმით, საკითხები უფრო დეტალურად უნდა ყოფილიყო ჩაშლილი. მისი თქმით, აღნიშნულ სილაბუსში, კურსის მიზანი და შედეგი ერთმანეთთან არ იყო თანხვედრაში. მაგალითად სილაბუსიდან ჩანდა, რომ მოცემული საგანი სტუდენტს შეასწავლიდა ერთიანი კომერციული სამართლის კოდექსს, რაც გაუგებარ საკითხს წარმოადგენდა. ასევე, საგნებში „შესავალი ფინანსური აღრიცხვა 1“ და „შესავალი ფინანსური აღრიცხვა 2“-ის მიზნები იდენტური იყო და შთაბეჭდილება რჩებოდა იმის, რომ ეს ორი კურსი იდენტური იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „შესავალი ფინანსური აღრიცხვა 2“-ის კურიკულუმში არსებობა საკითხისადმი ცოდნის გაღრმავებას ემსახურებოდა.

საბჭოს წევრების შენიშვნით, წარმოდგენილ ქართულენოვან სილაბუსებში დაშვებული იყო რამდენიმე არსებითი ხასიათის შენიშვნა. სხდომაზე აღინიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ საქმის წარმოება მიმდინარეობდა ქართულად, დაწესებულება ვალდებული იყო საბჭოს სხდომაზე გამართული ენით შედგენილი მასალები წარმოედგინა.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, კურსში „introduction to HR“ იყო თუ არა სავალდებულო ლიტერატურა შესავალი კურსისთვის შესაფერისი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახელმძღვანელო სრულიად შესაბამისობაში იყო შესავალი კურსისთვის.

საბჭოს სხდომაზე 17:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭო სხდომა განახლდა 17:30 საათზე.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ალექსი ალექსიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>2</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტმა დაიწყო დასკვნის საბჭოსთვის გაცნობა.

ექსპერტის აზრით, პროგრამა არ უნდა დაწყებულიყო, თუ მისი დიზაინი და სტრუქტურა არ იქნებოდა შეცვლილი, ვინაიდან მასში არსებობდა გარკვეული დისციპლინები, რომლებიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩამონათვალში და არ იყო. მისი თქმით, ვიზიტის მესამე დღეს, სასწავლო უნივერსიტეტი და ექსპერტები შეჯერდნენ აუცილებელი ცვლილებების შესახებ და დაწესებულებას ჰქონდა პოტენციალი, რათა ექსპერტების მიერ შეთავაზებული ცვლილებები განეხორციელებინა. ექსპერტის აზრით, დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები პროგრამის სათანადო დონეზე განხორციელებისთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი.

კერძოდ, სტუდენტთა დატვირთვის სქემა შედგენილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ასევე, კურსები უნდა ყოფილიყო ინდივიდუალური ხასიათის მქონე სწავლის მეთოდებიდან და შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარე.

ექსპერტთა აზრით, უნდა მომხდარიყო პროგრამის სტრუქტურის კორექტირება და გადამოწმებულიყო კურსის მიზნები სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში.

ასევე, პროგრამის დაწყებამდე უნდა მომხდარიყო სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურის თანამედროვე პუბლიკაციებით გამდიდრება და ვებ გვერდზე უნდა

განთავსებულიყო მეცნიერო ბაზებთან წვდომის ჩამონათვალი, რაც მოითხოვდა ვებ გვერდის სრულყოფილი, ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნას.

ექსპერტის აზრით, პროგრამა ამ ეტაპისთვის არ იყო სათანადოდ მზად, რათა განხორციელებულიყო, თუმცა, მას შემდეგ, რაც დასკვნაში არსებული რეკომენდაციები შესრულდებოდა, მას ექნებოდა ამუშავების პოტენციალი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, გათვალისწინებულ იქნა თუ არა ექსპერტთა რეკომენდაციები და რამდენად შეიძლებოდა მათი მოგვარება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა შეფასება იყო კონსტრუქციული, ნაყოფიერი და საკითხების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა. სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო და გაეთვალისწინებინა ექსპერტების რეკომენდაციები, როგორც ადამიანურ რესურსებთან, ისე სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. მისი თქმით, უნივერსიტეტი სამაგისტრო საფეხურზე სთავაზობდა სტუდენტებს სხვადასხვა კურსებს ინგლისურენოვანი ლიტერატურით, აქედან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის შინაარსი ფინანსებზე იყო დავიწროებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ აზრთა სხვადასხვაობა ექსპერტთა მიმართებაში გამოიწვია რამდენიმე საკითხმა. პირველი ეს იყო ერთ-ერთი პროფესორის დიპლომი, რომელიც 5 წლიან სწავლებას ადასტურებდა და ექსპერტები დაინტერესდნენ მისი სანდოობის შესახებ, რაც ოფიციალური წერილით დადასტურდა და აღინიშნა, რომ 5-წლიანი დიპლომი უთანაბრდებოდა მაგისტრის ხარისხს.

მეორე პრობლემატური საკითხი უკავშირდებოდა ერთ-ერთი ლექტორის ფრანგული უნივერსიტეტის დიპლომს, რისი აღიარებაც მოხდა და პრობლემა გადაიჭრა.

დაწესებულების განცხადებით პროგრამაში აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზარდა, ასევე პროგრამას დაემატა რამდენიმე კურსი და პროგრამის სტრუქტურაც შეიცვალა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით საბჭო პროგრამას აფასებდა ექსპერტთა დასკვნისა და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე და პროგრამის მოდიფიცირებული ვარიანტი საბჭოსთვის ცნობილი არ იყო, შესაბამისად, საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებდა იმ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რაც ცენტრში იყო წარმოდგენილი სააკრედიტაციოდ.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ ჰკითხა აკრედიტაციის ექსპერტებს, რას გულისხმობდნენ ისინი დასკვნაში არსებულ შეფასებაში, როდესაც წერდნენ, რომ გაურკვეველი იყო მოწვეულ ლექტორთა დასაქმების პროცედურები, რაზეც აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ უკეთესი იქნებოდა მოწვეულ პედაგოგებზე ყოფილიყო გამარტივებული პროცედურები მოწვევის დროს. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული საკითხი გამოსწორებული იყო.

საბჭოს წევრის დიმიტრი ჯაფარიძეს აზრით, პროგრამის სილაბუსებში არსებობს რამდენიმე ხარვეზი, რომელიც შესაძლოა ექსპერტთა შეფასებას გაცდენილიყო და მსჯელობის საგანი გამხდარიყო. აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა არსებითად საჭიროებდა განახლებას.

პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშეც შეეძლო პროგრამას ფუნქციონირება. ამის გარდა, რიგი რეკომენდაციები დაწესებულების მხრიდან უკვე იქნა გაზიარებული და გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო „მენეჯერული ეკონომიკის“ ღირებულებით ნაწილის გაუმართაობას და აღნიშნა, რომ ლექტორის მხრიდან აღნიშნულ კურსში ღირებულების კომპონენტის ჩართვა აკადემიურ პატიოსნებას ეყრდნობოდა და პლაგიატის ფაქტებს სრულიად გამორიცხავდა. რაზეც, საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ღირებულებითი კომპონენტი პროგრამიდან გამომდინარე, მხოლოდ პლაგიატის ფაქტებს არ შეიძლებოდა შეხებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა არსებობდა თუ არა პროგრამაში ცალკე კურსი აკადემიურ წერასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კურსის სწავლებას პროგრამა თავისთავად ითვალისწინებდა.

საბჭოს წევრმა გიორგი ოდომაშვილმა იკითხა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას პლაგიატის დასადგენი სპეციალური პროგრამა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს ნაყიდი ჰქონდა პლაგიატის შესამოწმებელი პროგრამა, რომლის ქართულ ვერსიაზეც მუშაობდნენ, ხოლო ამჟამად ისინი იყენებდნენ ე.წ „ტურნეტინის“ ბაზას.

საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესახებ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო დაწესებულებისთვის. დღესდღეობით, მუშავდებოდა „ერასმუს +-ის“ 4 პროგრამა - ლიტვის, ლატვიის, პორტუგალიის, პოლონეთის უნივერსიტეტებთან. ასევე პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უცხოური დაწესებულებები გამოთქვამენ მუდმივ მზაობას მათთან თანამშრომლობისთვის.

საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო დაწესებულებაში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, ასევე რამდენად აქვეყნებდა პერსონალი თავის სტატიებს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება სრულიად უჭერდა მხარს პერსონალის მივლინებებს საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობისთვის, გარდა ამისა ისინიც ატარებდნენ საერთაშორისო კონფერენციებს ყოველწლიურად. ასევე, დაწესებულების პერსონალის მიერ გარკვეული რაოდენობის ნაშრომებიც იბეჭდებოდა საერთაშორისო ჟურნალებში.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, სად იბეჭდებოდა ხსენებული ნაშრომები, კონკრეტულად მან იკითხა, რამდენი პუბლიკაცია ჰქონდა დაწესებულებას, მის პერსონალს საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალებში გამოქვეყნებული, რომლებიც ისეთ აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებში იყო შესული, როგორებიცაა „Ulrich's Periodicals Directory“, „Scopus“, „Ebsco Host“, ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტული რიცხვი მათ არ ახსოვდათ, თუმცა პერსონალი ნაშრომებს აქვეყნებდა. დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პუბლიკაციების კომპონენტი დათვლადი იყო და მხოლოდ ხარისხობრივ მაჩვენებელზე ხაზის გასმა არ იყო მიზანშეწონილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს პუბლიკაციები გააჩნდა, თუცა საბჭოს სხდომაზე მათ არსებული მონაცემები არ ჰქონდათ თან.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ პროფესორის 5-წლიანი განათლება პრობლემა გახდა იმიტომ, რომ უცხოელმა ექსპერტებმა არ იცოდნენ ქართული კანონმდებლობის მახასიათებლები ხარისხთან მიმართებაში და აუცილებელი იყო ისეთი მექანიზმის მოფიქრება, რომელიც აღნიშნულ პრობლემას 5-წლიან განათლების ხარისხთან დაკავშირებით მოაგვარებდა, რაზეც ცენტრის თანამშრომელმა მათა გელაშვილმა განაცხადა, რომ პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ხსენებული ლექტორის დიპლომის პრობლემა ეხებოდა მის მიერ დამთავრებული დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებას. მისი თქმით, დაწესებულებამ, რომელმაც მიანიჭა ხარისხი ხსენებულ პიროვნებას, ავტორიზაცია არ ჰქონდა, ექსპერტები კი ამ ფაქტორმა დააეჭვა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საუბარი იყო უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტზე და არა რომელიმე კონკრეტულ სასწავლო უნივერსიტეტზე.

საბჭოს სხდომაზე 19:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 19:20 საათზე.

დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები იყო არსებითი ხასიათის, მათი გაუთვალისწინებლობის გარეშე პროგრამა ვერ დააკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს. შესაბამისად, ვინაიდან საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, გამოსწორებულ დოკუმენტაციას საბჭო გადაწყვეტილების მიღების დროს ვერ გაითვალისწინებდა.

3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტმა დაიწყო დასკვნის საბჭოსთვის გაცნობა.

აკრედიტაციის ექსპერტის განცხადებით აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ იქნა ორი ძირითადი რეკომენდაცია, პირველი რეკომენდაცია ითვალისწინებდა აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტთან შესაბამისობის საკითხს, ეს იყო, რომ პროგრამაში არსებულ სამეცნიერო ბაზებზე სტუდენტებს უფრო მეტი წვდომა უნდა ჰქონოდათ და ბაზების შესახებ ინფორმაცია მითითებული უნდა ყოფილიყო პროგრამაში და სილაბუსებში. მეორე რეკომენდაცია ითვალისწინებდა იმას, რომ პროგრამა უნდა ყოფილიყო სრულად ინგლისურად და ქართული მასალები მასში არ უნდა ყოფილიყო მითითებული, ვინაიდან მისი სამიზნე ჯგუფს უცხოელი სტუდენტებიც წარმოადგენდნენ. ექსპერტის განცხადებით, მეოთხე სტანდარტში არსებული ხარვეზები განაპირობებდა იმას რომ პროგრამაზე დადგა ნაწილობრივი შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბაზების პრობლემა გამოსწორდა, ასევე ინგლისურ კომპონენტთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს დაემატა რამდენიმე ინგლისურენოვანი თანამშრომელი და ვებგვერდზეც შესაბამისი ინფორმაცია ინგლისურ ენაზე იყო უკვე განთავსებული.

საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა შესწავლილი ჰქონდათ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლებს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შექმნის იდეა

მომდინარეობდა შრომის ბაზარზე დაყრდნობით, მისი განცხადებით, პირველი პროგრამა, რომელიც ამ იდეით განხორციელდა იყო მედიცინის პროგრამა, ამ შემთხვევაში კი, ინტერესი იყო ბიზნესზე, სადაც ეკონომიკა და ეკონომიკის პრინციპებიც რეალიზებული იყო. ამასთანავე, ქართულ შრომის ბაზარზე სტუდენტი, რომელსაც ინგლისურენოვან პროგრამაზე ჰქონდა განათლება მიღებული, უფრო კონკურენტუნარიანი იქნებოდა. მისი თქმით, სწორედ ამან გამოიწვია პროგრამის შექმნა.

საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა, რა რაოდენობის სტუდენტების მიღებას გეგმავდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის პასუხი იყო, რომ პროგრამას ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო დაახლოებით 50 სტუდენტი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პროგრამის უნიკალურობა მდგომარეობდა იმაში, რომ მისი შემუშავების პროცესში დამსაქმებელი აქტიურად მონაწილეობდა და კურსების უმეტესობა დამსაქმებელთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად შევიდა პროგრამაში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, რატომ იყო უფრო მეტად გამახვილებული ყურადღება საბანკო სფეროზე და არა სხვა სფეროებზე. მაგალითად, მან დასახელა კურსი „ფინანსური რისკები საბანკო სექტორში“ - იგი დაინტერესდა, რა განაპირობებდა იმას, რომ პროგრამაში ფოკუსი გაკეთებული იყო კონკრეტულად საბანკო სექტორზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით აღნიშნული ფაქტორი განპირობებული იყო იმით, რომ საბანკო სფერო მსხვილი დამსაქმებელი იყო ბაზარზე, რაზეც გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ პროგრამის ინტერნაციონალიზაციიდან გამომდინარე, აქცენტი მხოლოდ ქართულ ბაზარზე არ უნდა გაკეთებულიყო და რადგან პროგრამას საერთაშორისო ხასიათი გააჩნდა, ყურადღებაც საერთაშორისო ბაზარზე უნდა ყოფილიყო გამახვილებული.

საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა რამ განაპირობა ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ეკონომიკის კომპონენტის ჩართვა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირება და ეკონომიკა განუყოფელი დისციპლინები იყო და სწორედ ეს განაპირობებდა პროგრამაში ეკონომიკის მოდულის ჩართვასაც.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა, რომელი კონკრეტული საგნებით ხდებოდა პროგრამაზე სტუდენტების მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მიღება ხდებოდა მათემატიკით და საბუნებისმეტყველო საგნებით.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ საბაკალავროსთან შედარებით, სამაგისტრო პროგრამაზე უფრო მეტი არჩევითი საგანი იყო, ვიდრე ძირითადი და რამდენიმე კურსი შეიძლებოდა გადანაცვლებულიყო. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რამდენიმე კურსი გადაჯგუფდა და სავალდებულო კურსებს სამი საგანი დაემატა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0


გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს მდივანმა გიორგი ოდოშაშვილმა 19:25 საათზე დატოვა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს პაატა ბრეკაშვილს.



4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მედიცინა
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე აკრედიტაციის ექსპერტები არ იყვნენ წარმოდგენილნი. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული ფაქტი ადმინისტრაციული წარმოების პროცესს ვერ შეაფერხებდა, რადგან საქმეში არსებობდა ექსპერტთა დასკვნა, საბჭოს წევრები დეტალურად იცნობდნენ აღნიშნულ დოკუმენტს და მისი აზრით საკითხის განხილვა უნდა მომხდარიყო. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ განუცხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათ შეეძლოთ პასუხი გაეცათ ექსპერტთა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე.

დასკვნაში არსებული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტებისთვის ლაბორატორიული მუშაობის უნარების განვითარებას. დასკვნის მიხედვით, დაწესებულება უფრო სიღრმისეულად უნდა ყოფილიყო ჩართული სტუდენტებისთვის ლაბორატორიული უნარებში შეფასების მექანიზმის არსებობა/დახვეწაში.

შემდეგი რეკომენდაცია ითვალისწინებდა სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის გაზრდას.

ასევე, ექსპერტთა შეფასებით, ქიმიური, მიკრობიოლოგიური, მიკროქიმიური ლაბორატორიები უნდა ყოფილიყო გაუმჯობესებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით დაწესებულებას ჰქონდა დიდი გამოცდილება მედიცინისა და ფარმაციის მიმართულებით. ასევე, მათი აზრით, ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაზიარებული იყო და ყველა მათგანი სრულიად გამოსწორდა.

ასევე, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ლაბორატორიული რესურსი უნივერსიტეტს გააჩნდა, თუმცა, დამატებითი მოწყობილობების შესყიდვა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამა გაივლიდა აკრედიტაციას. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, ის

აღჭურვილობა რაც დაწესებულებას გააჩნდა იყო სავსებით საკმარისი, რომ პროგრამა ამოქმედებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი სტუდენტების მიღებას გეგმავდა დაწესებულება აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგეგმებოდა დაახლოებით 50 სტუდენტის მიღება.

გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტთა კონტიგენტი გაიზრდებოდა იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე მეტი მოთხოვნა იქნებოდა აბიტურიენტების მხრიდან.

საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანი დაინტერესდა, როგორ მოდიოდა პროგრამის სახელწოდება ზოგადად უნივერსიტეტის სახელწოდებასთან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი 1992 წელს დარეგისტრირდა აღნიშნული სახელწოდებით და მასში იყო სხვადასხვა ჰუმანიტარული პროგრამა. პროგრამების დივერსიფიცირება და მრავალფეროვნება კი განაპირობა დასაქმების ბაზარზე არსებულმა მოთხოვნებმა.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, რა პრინციპით მოხდებოდა კურსებისთვის კრედიტების შემცირება, რადგან რეკომენდაციიდან გამოდინარე, სასურველი იყო ყველა კურსს თანაბარი კრედიტი არ ჰქონოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით კურსების შინაარსობრივი გადახედვა არ მოხდებოდა და არც საკონტაქტო საათები არ შემცირდებოდა. ინდივიდუალური მიდგომით საგნებს ან გაეზრდებოდათ, ან შეუმცირდებოდათ კრედიტების რაოდენობა.

საბჭოს წევრის გიორგი თურქიას განცხადებით, კრედიტების შემცირება გულისხმობდა საათების შემცირებასთან ერთად, მასალის შემცირებასაც, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორი იყო.

საბჭოს წევრის გაიანე სიმონიას განცხადებით, მედიცინის ახალი დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შედის 2019 წლიდან, თუმცა სასურველია ახალი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინება უკვე დაიწყოს დაწესებულებამ. ამავე დროს მოქმედი მახასიათებლის ყველა მოთხოვნა სრულად არ იყო პროგრამაში გათვალისწინებული.

საბჭოს წევრის გაიანე სიმონიას განცხადებით, პროგრამაში არ იყო ისეთი საგანი, როგორცაა გერიატრია, რომელიც სავალდებულოდ არის მიჩნეული და არის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტშიც. ასევე, მისი აზრით, კლინიკური უნარ-ჩვევების კურსის „clinical skill“-ს უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდი (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა - OSCE), რადგანაც სხვა მეთოდებით კლინიკური უნარების შეფასება ვერ მოხერხდება. ასევე, არასწორია სასწავლო კურსის სახელწოდება „clinical therapy“, უნდა იყოს “შინაგანი მედიცინა” ან თერაპია. მოძველებულია კურსი - „ტოპოგრაფიული ანატომია“.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა იმისი რესურსი, რომ აღნიშნული პრობლემები მოეგვარებინა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 13

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>2</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>ა</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27<sup>ბ</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 20:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

ირაკლი ბურდული

მდივანი:

გიორგი ოდომაშვილი

პაატა ბრეკაშვილი